

ପାଶିନ୍ୟକାଳୀ

卷之三

# ქართული ანგანი

ეს პირველი საკითხაცი ჭიგნი

## ବୁଦ୍ଧିମାନଙ୍କ ପରାମର୍ଶ,

Digitized by srujanika@gmail.com

Q. 3.

НЕ БЫДЛЕТЬ



სტეფანე მელიქიშვილისა და კა. სტარიძი.

1865.

# ქართული ანბანი

499. 96

3-68

და კისელი საკითხები მიგნი

მოსწერელეთათვის,

1900 წ.

0. 8.



ტფილისი.





საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკი

მიმღები დოკუმენტი

მიმღები დოკუმენტი

Дозволено цензурою, Тифлисъ. 31-го мая  
1865 года.

Е 19.924

2000



# მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს ა რ ა მ ხ ე /

შევეღა ახალი მითოგის მაშინ, როდენაც უკუკუჭი  
ზეამჩნევენ ნაკლულევან ებას. რა ნაკლულევანები  
აქვს ჩევულებრივ ანბანების მეთოდს! პირევეღი  
და უმთავრესი ნაკლულევან ება ამ მეთოდისა მდგო-  
მარეობს იმაში, რომ ანბანი იწყების ასოებიდგან. ას-  
ოფები ცალ ცალკე არა სავანს არ აჩვენებენ,  
არა პურს არა ხატევენ. პშირობ სწავლის დაწყება  
ასოფებიდგან უმაწვევისათვის არის მავნებელი. პი-  
შისკეს უმაწვევის ხელში ანბანი და ეუბნე-  
ბიან: ეს ასო არის ა, ეს ბ და სხვანი. უმაწვევის  
თავში, რა საკეთოებია, არა პური არ იხატება.  
პშირობ პირეველვე შეხვედრიაზედ უმაწვევის სწა-  
ვლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო სავანი. პ-  
მ მეთოდს, მაშა საღამე, შეუძლიან პირეველათ-  
ვე შეძლებოს სწავლია უმაწვევისა და წარითვეს მის  
წარილი სწავლისა!

მეთოდი ზოლოთოვანია, რომელზედაც არის  
შედგენილი ეს ანბანი, ასოდევის ზემოსხენე-  
ბულს ნაკლულევან ებას. მს ანბანი იწყების სი-  
ტუებიდგან. მაშასაღამე, უმაწვევის პირეველვე და-  
ინამაგს სწავლაში პაზრისა; ამიტომ, რომ კვევი სიტ-  
უებ ხატავს რომე პაზრისა, აჩვენებს რომელმე სავანსა,  
მაშა საღამე პირეველათვე უმაწვევი შეხვედავს სწა-  
ვლის, როგორც გონიერულ სავანს და წახალის-  
დება..... პი უმაწვევის მასწავლებელმა წაკითხა

სიტუაცია: დე-და.-უმანიშვილი წარმოადგენს ფრეკს დე-  
დასა, ამასთანც თავის სახლს, მარმარილი მიეპს, ად-  
გოლს. მრთი სიტუაცია, ეს ერთი სიტუაცია რამდენმე  
სავანს მოვალეობს, რამდენმე ჰაზრის წარმოადგენს  
ვონებაში ყმაწევილსა. მოსწავლე იღიძნობს შაშინვე  
კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლის შეკა-  
ვა რაღაც უკველს ყმაწევილს უკვერს ბუნება და  
ცხოვრება, სწავლაზედაც წახალისდება. მარტა ამისა,  
ყმაწევილი ამ მეოთხედ თითონ კითხვას უკრი-  
ვონიქორულათ და ჩქარია სწავლობს, — ესვევა კით-  
ხვას მარტა უკველების და არ ასოების ჩათვლით. ბოლოს  
ეს მეოთხე უადგილებს მასწავლებელს ცხად—გა-  
საგონებლად ყმაწევილს აუხსნას განრჩევა ხმოვანი  
და უბმო ასოებისა.

იქმნება ბეჭება განკურივებით თქვას: როგორ უნ-  
და ისწავლოს სიტუაციის კითხეა ყმაწევილმა, როგორ  
ასოები ჯერ არ იკის. შეუჩევერიობა არის მიზეზი  
ამ ანუკირების. როგორ მასწავლებელი. გათქნობს  
ამ მეოთხესა, მაშინ ადგილათ ეჩერება სწავლა ამ  
ანბანში. პი როგორ უნდა ასწავლოს ამ მეოთხე-  
ზედ: მასწავლებელი გამოითქვას პირები სიტუაციას  
(მა—გა) ისე, რომ ყოველს მარტა ცხადათ გა-  
ნარჩევს, მოსწავლე გაიმეორებს. სწორეთ აგრეთვე  
წილითხავს და გაამეორებინებს მეოთხე სიტუაციას (დე—  
და). შემდგომ ორივეს ერთათ გაამეორებინებს. აგ-  
რეთვე წაიკითხავს მესამე სიტუაციას და მოსწავლეს გაა-  
მეორებინებს. შემდგომ სამივეს ერთათ გაიმეორებენ.

მერე წაიკითხვენ სწორეთ აგრძოთ უცმდებოს სამს  
 სიტყვას: გუ—და, აბ—გა, ად—გა. უცმდებოს მოქალაქე-  
 ლეს პეიოთხავს მასწავლებელი, მიჩვენდი, მაგალითმცმერი,  
 აბ—გა, ანუ გუ—და, და სხვანი. ბოლოს წაიკით-  
 ხვენ აგრძოთ დანარჩენს სამს სიტყვებს: ბე—დი,  
 ვო—გო, თ—ბი. მერე მასწავლებელი მოითხოვს.  
 რომ მოსწავლემ უჩვენოს, ან თეოთონ რომელსამე  
 სიტყვაზედ ხელს დაუფარებს და ეტყვის: წაიკითხე.  
 როცა უვდა სიტყვის წაიკითხვა და ჩერნება ეცოდი-  
 ნება მოსწავლეს, მაშინ მასწავლებელი მარცველე-  
 ბს დაწყებინებს. ჩერ თეოთონ წაიკითხავს მარც-  
 ველებს და უჩვენებს, რომელი მარცველი რო-  
 მელს სიტყვაშია; მერჩე ამავე მარცველებს წაიკი-  
 თხვეს მოსწავლე; მასწავლებელი მოითხოვს, რომ  
 მოსწავლემ ნასწავლის სიტყვებში ყოველი მარცვე-  
 ლი უჩვენოს. როცა მარცვლებსაც ყმაწვილი დას-  
 წავლის, უცმდებობა ასოებს დაიწყებენ ამ სახით:  
 პარცველათ წააკითხე ყმაწვილს მარცველი. ჩერ თეო-  
 თონ მასწავლებელი გამოითქვამს მარცველს და  
 გაავძელებს ხმის ამ სახით: ბა-ა-ა-ა. მაშინ ყმაწვილი  
 იყრძნობს, რომ აქ რაზო ასო ყოველია. უცმდებო  
 მასწავლებელი ხელს დაუფარებს და ჰყოთხავს: რა  
 დარჩა?—მოსწავლე მოუგებს ა. ბერძოთ გააცნობს  
 უცმდებობს ხმოვანს ასოებსა და აუქსნის აქვე, ხმო-  
 ვანი ასონი ამათ იმიტობ ჰქეიანთ, რომ მოელს ხმასა  
 ხიტვენ. ჟოველი ხმოვანი ასო მოსწავლემ უნდა  
 გამოსითქვას ისე, რომ უხმო ასო ას მოუმატოს, უნდა

სოქეას ა და აზა ან. პგრე უნდა ასწავლით უჩმონი  
ასოებიც. მარევ წაკითხე მარცვალი, რა კ ფლეგარე  
- ხელი ა და ჰელი: რა დარჩი—უქაშენდნი სერიუმი  
ოტყვის: ბა, ან ბუ, ან ბე. მაშინ აუხსენ, რომ აზუ  
ა, აზუ უ, აზუ ე აქ აზ აზის, და გამოათქმევინ ე  
ასო ბ ცალკე, ისე, რომ ხმოვანი ასო აზ მოუ-  
მატოს; მთელი ხმა აზ გამოდა. მაშინ აუხსენ ყმა-  
წევილს, რომ ამისთვის ასოს ჰქეიან უხმო, რად-  
განც მარტოვა თეითონ მთელს ხმას აზ ხატავს.  
სხვა უხმო ასოებსაც აგრძელებ ასწავლის. ბოლოს  
უხმოს და ხმოვანს ასოებს ერთოთ გაამეორებინებს.  
კარგი კოდვე, თუ ნასწავლა ასოებიდვან მასწავლებლი  
შეადეს მარცვალებს და ზეპირით ყმაწევილს ჰკით-  
ხავს: ეს და ეს მარცვალი რა ასოებიდვან შესდევ-  
ბა. შემდგომს სიტუაციას, მარცვალებს და ასოებს სწო-  
რეთ ამ ჩივათვე ასწავლის. მაგ მასწავლებლმა წა-  
დილიანათ გაათავებინა ამ ნაირით ასოების სწავ-  
ლა, შემდგომ ისე თავისუფლად დაიწყებს კითხვას  
მასწავლებე, რომ მასწავლებლის შეეღა კითხვაში  
თითქმის აღირე კი დასჭირდება.

ჩვენ ეცდილობდით, რომ ყმაწევილისთვის გაგვე-  
აფერდებინა კითხვის მიჩქევა და გავონება წაკითხუ-  
ლისა. ამიტომ შემდგომ ანბანისა მოვაკოლეთ ერთ-  
მარცვალებინი სიტუაცია, რომლებიც გამოსათქმელით  
ემაწევილისათვის ადგილი აზიან ყველა სიტუაციაზე.  
ამ სიტუაციდვან, ერთი უჩი სხვა სიტუაცის მიმარტე-  
ბით, ფრაზები შევადგინეთ, და ამითი ფრაზების კი-

თხეთ ყმაწეოლის ძრიელ გაუადვილეთ. მშაბ მარტველ  
სიტყვები თხ. მარტვლოვენნი, სამ - მარტვლოვენნი,  
თხხ. მარტვლოვენნი. ამ სიტყვებიდან, შედგენილია  
ფრაზები. ამ ფრაზებში თითო თანალი სხვა სიტყ-  
ვები არიან გამოიჩინონ. მა იმიტომ, რომ კოტა  
კოტათი ყმაწეოლი შეიობას მოგჩიოს.

პირველი ყუჩად-ღება მასწავლებლისა იმაზედ  
უნდა იყვეს დამყარებული, რომ ყმაწეოლმა რაც  
წაიკითხოს — ეუქრიბოდეს. ამისთვის, ფრაზების კო-  
სტების დროს, მასწავლებელმა ყმაწეოლისაგან ყო-  
ველოვების უნდა მოითხოვოს ფრაზის ძაბრი: კისწედ  
არის ლაპარაკი და რა არის ნათქეამი. მაგალითები  
ყმაწეოლმა წაიკითხა ფრაზა: „ მე ჩიტის ბუდე ვიცი. „  
მასწავლებელი პირთხავს: კისწედ წაიკითხე! — ჩემზედ.  
შენი თავი რომელი სიტყვით აჩეენჯ? სიტყვით: მე,  
რა სთქიო შენზედ? — ის, რომ კიცი, რა იცი! — ბუდე.  
რის ბუდე! — ჩიტისა. აგრე უნდა დააჩეოს მასწავ-  
ლებელმა ყმაწეოლი ყოველის ფრაზის გარკვევების.  
შემდგომ დაბეჭდილია ძალის აღქილი წასიკითხი სი-  
მდგრა. ანბანი თავდება ანდაზებით.

ანბანის შემდეგ არის დაბეჭდილი პირველი სი-  
კითხაეთი წიგნი ყმაწეოლებისათვის. შოველი ამ გეგა-  
რი წიგნი ისე უნდა იყვეს შედგენილი, რომ ყმა-  
წეოლი სწავლაზედ წაახილოსთვის, მოსწავლეს პირ-  
ველევ სწავლა მოაწონოს. მა მოხდება მხოლოდ  
მაშინ, როდესაც წიგნი იქნება შედგენილი იმის-  
თანა სტატიებისგან, რომლების კითხვა ყმაწე-

ლისათვის ადეილი იქნება, გაფონება მშაო არ გა-  
 უჭირდება. ამათ კითხვაში იპოვნის სამოწვენებებს, და  
 თვის კარიელს გონებას შესძინებს—ჩემი ცოდნა-  
 ებსა, რომელთაც ითხოვს მისი ბუნება. რომელნი  
 სავნები არიან ადეილათ გასვთნი, სასიმოვნო და  
 სასაჩვებლო ყმაწვილის გონებისთვის—ბუნება.  
 საზოგადოთ, და ყოველი, რაც გარეშემო არ-  
 ტყა ყმაწვილს. მისაც ცოტაოდენი მაინც უ-  
 რი შოუგლი ყმაწვილების კითხებისათვის, ის ამ  
 პაზრის კეშმარიტების ცხადათ იყრინობს. შოველი  
 ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის სავნებსა.  
 სად არიან ის ფრინვლები ზამთარში, რომელებსაც ზე-  
 ფხულში ჩვენ ეხედავთ, საიდგას წარმოსდგება ქა-  
 რი, წეიმა და სხვანი,—აი რის ცოდნას თხოველობს  
 ყოველი ყმაწვილი. თეიორინ დიდები ვერ უხსნიან  
 ყმაწვილს საქმეს, არყენებენ. ზნეობითი, ისტორი-  
 ულნი და სხვა სავნები ყმაწვილის გონებას ჯერ  
 სულ არ ეხებიან. პრიტომ მხოლოდ ის პირელი  
 წიგნი უნდა იყვეს სასიმოვნო და სასაჩვებლო  
 ყმაწვილისათვის, რომელიც შესდგების ბუნების და  
 იმის სავნების ღლებიავბითვან, რომელიც დაბი-  
 უჩათ ხსნის ბუნების მოელენებს. პირელიათ მო-  
 სწავლებს შეუძლოან წახლისდეს მარტოკა ამის-  
 თანა წიგნზედ; მარტოკა ამისთანა წიგნს შეუძლიან  
 მოაწონოს და შეაუკაროს სწავლა ყმაწვილს. მს  
 ზემოსხენებული პაზრი გვქონდა სახეში, რაც შე-  
 ედგინეთ ეს პირელი საკითხაცი შემდგომ ანბანი-

სა წიგნი მოსწავლეთათვის. პრიტომ, რამდენიმე  
ზღაპრული ბიბლიოთის შემდეგ, პირდაპირ იწყება კარისტა  
სხვა და სხვა ბუნების სავნებისა. ჩემ არის  
აღწერილინი რამდენიმე მცენარენი, შემდგომ ცხო-  
ველები: ფრინელები და ოთხ-ცეხები. ჩადგან ( )  
ყმაწევილისათვის უფრო სასიამოვნოა პირუტყვების  
ცხოვრება, ზნეობა და ჩვეულება, ამიტომ უმეტეს  
ნაწილი ამ აღწერაებისა შეიცავს ამას. შემდგომ  
არის აღწერილი ოთხი დრო წელიწადისა. მერჩე  
არიან ახსნილნი ბუნებითი მოვლენანი. წიგნი თავ-  
დება გეოგრაფიული სტატიებით. მასწავლებელი  
უნდა ეყადოს, რომ სტატიაების სმენა გაუადევ-  
ლოს ყმაწევილს; მან აფხსნელათ არა სტატია ან  
უნდა გაუკვეთოს ყმაწევილს. ჩერ თეითონ წაუ-  
კითხავს სტატიას და ყოველფერს აუხსნის, მერჩე  
ზეპირად ათქმევინებს სტატიის პარაებს, შემდგომ  
დაუნიშნავს საკითხავათ.

I. ୬ ୦ ଠ ୫ ୩ ୧ ୮ ୦.

ଢା—ଘା	ଶୁ—ଲା	କଣ୍ଠିରାତ୍ରୀଜୀ
ଲ୍ୟ—ଲା	ପଦ—ଘା	ପାତ୍ରାତ୍ରୀଜୀ
ଫୋ—ଫା	ଏଲ—ଘା	ଫାନ୍ଦା—ଫା

ମାରୁପ୍ରକଳ୍ପନା.

ଢା ଲ୍ୟ ଲୋ ଘା ଲୋ ପ୍ରକ ଏଲ ଏଲ ମାରୁ ଫା.

1) ଢା, ଲ୍ୟ, ପ୍ରକ, ଫା, ଲୋ.

୦ ୦ ମ ମ ମ.

ବ ବ ମ ଗ ଗ ବ ବ ନ ନ ନ ବ ବ ନ ନ.

୦ ୦ ମ ମ ପ୍ର.

2) ଢା ଘା ଲ୍ୟ.

ଢ ଘ ଲ.

ଅଶବ୍ଦନ ଶୁଶବ୍ଦନ.

ଢ ଘ ଲ.

୦ ୩ ଘ ଲ ଏ ନ ମ ପ୍ର.

II. ୬ ୦ ଠ ୫ ୩ ୧ ୯ ୧.

ମା—ଫା	ଲୋମ—ଫା	ନା—ନା
ନେ—ମା	ଫା—ନା	ଫା—ଫା

ତୁମ—ଜୀ

ହୁ—ହୁ

ବେ—ଲୁଗୁ

ଥୋରୁ ପାଇଲୁ ଯଦି କାନ୍ଧିରେ କାନ୍ଧିରେ  
କାନ୍ଧିରେ କାନ୍ଧିରେ କାନ୍ଧିରେ କାନ୍ଧିରେ

ତା ଶ୍ରୀ ହୁ କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

ତ ଶ୍ରୀ ହୁ କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

III. ଶ୍ରୀ ପାପିଙ୍ଗ କାନ୍ଧି

ଶ୍ରୀ—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—ଶ୍ରୀ କାନ୍ଧି—ଶ୍ରୀ

କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

ଶ୍ରୀ କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

ଶ୍ରୀ କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି କାନ୍ଧି

IV. ଶ୍ରୀ ପାପିଙ୍ଗ କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି

କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି କାନ୍ଧି—କାନ୍ଧି

ଥେଣୁ ପାଇଲୁ ଦେଖିବା.

ହମ୍ମି ଫୁଲ କୁ ଜୀବ ଫୁଲ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ  
କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ  
କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ

ତଥା ତଥା ତଥା ତଥା.

କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ.

V. ଶେଷ ପାଇବାରେ.

ନୃତ୍ୟ — ନା ଯା — ନା ଯାଇ — ଧୀ

ତତ୍ତ୍ଵତ୍ୟ — ନା ଥାନ୍ତା — ଧୀ ଫଳାନ୍ତା — ଧୀ.

ନାମ — ଧୀ ଲକ୍ଷ୍ମୀ — ନା ଯୁଦ୍ଧିତ୍ରି — ନା — ଧୀ.

ଥେଣୁ ପାଇଲୁ ନାମ ଯା ଫୁଲ ଲକ୍ଷ୍ମୀ ଫଳାନ୍ତା

କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ କୁ.

କୁ କୁ କୁ କୁ.

O (ଓ) ଉ (ଉ) ଏ (ଏ) ଜ (ଜ) ଫ (ଫ) ଶ (ଶ) ଶି (ଶି)

ୱ (ଭ) ଘ (ଘ) ଙ (ଙ) ତା (ତା) ତି (ତି) ତିକ (ତିକ) ତିକି (ତିକି)

ନା (ନା) ନାନ୍ତା (ନାନ୍ତା) ନାନ୍ତାନ୍ତା (ନାନ୍ତାନ୍ତା) ନାନ୍ତାନ୍ତାନ୍ତା (ନାନ୍ତାନ୍ତାନ୍ତା)

ଶିକ୍ଷା (ଶିକ୍ଷା) ଶିକ୍ଷାନ୍ତା (ଶିକ୍ଷାନ୍ତା) ଶିକ୍ଷାନ୍ତାନ୍ତା (ଶିକ୍ଷାନ୍ତାନ୍ତା)

ଅ ଠ ଅ ଢ ଶ ର ଲ ନ ଟ ଅ ଶ ଠ ଥ  
 କ ଢ ଧ ଲ ତ ତ ଶ ଠ ପ୍ରମାଣିତ ହେଲା  
 କ ବ ଲ ର ତ ତ ଶ ଠ ନ ଶ ଠ ତ ତ  
 କ ର ତ ତ ଶ ଠ ଦ ଷ ତ ବ ବ କ  
 କ କ ଫ.—

ସଂକ୍ଷିପ୍ତ ପାଠ—ଥାର ପଲାଗୀନା.

ଅ	ତ୍ତିନ	ଶବ୍ଦିକ୍ଷା
ରୁ	ରମୀ	ରଘୁନାଥ
କୁ	କଣ୍ଠୀ	କଣ୍ଠିର
ଖୁ	ଖଦ୍ଗ	ଶକ୍ତିଶ
ଧୁ	ଧର୍ମୀ	ଧୂମି
ଜୁ	ଜୀବି	ଜୀବି
ଲୁ	ଲଲ୍ଦ	ଲଲ୍ଦାର
ଦୁ	ଦୁର୍ଦ୍ଵାର	ଦୁର୍ଦ୍ଵାର

କାହାର କାହାର

କମା ମଜୁସ. ଖଦ୍ଗ ଧୂମି. ଶ୍ରୀ ରଘୁନାଥ. ତ୍ତିନ ଶକ୍ତିଶ. ଅର୍ପଣାର. କାହାର କାହାର. କାହାର କାହାର. କାହାର କାହାର.

ସଂକ୍ଷିପ୍ତ ପାଠ—ଥାର ପଲାଗୀନା.

କାହାର କାହାର କାହାର

ଶ୍ରୀ—ଲ୍ଲେ	ପା—ଗୋ	
ଶ୍ରୀ—ନୀ	ପା—କ୍ଷେତ୍ର	
ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ	ପା—ଶ୍ରୀ	
ଶ୍ରୀନୀ—ଗୋ	ମନ—ପ୍ରେମୀ	ଶ୍ରୀନୀ—ଲ୍ଲେ.

### ଶାଖା ଥିବା ପାଇଁ

ଶା—ନା ପା—କ୍ଷେତ୍ର. ଶାନ—ପାଇଁ ମନ—ପ୍ରେମୀ. ଶା ନୀ—ଶ୍ରୀନୀ  
ଶ୍ରୀ—ଲ୍ଲେ ପା—ଶ୍ରୀ. ଶା—ନୀ ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ ଲ୍ଲେ—ଲ୍ଲେ ଏ—ହାନି.  
ଶ୍ରୀ—ମନ ମା ଜାଣ—ଜାଣ ଶ୍ରୀନୀ—ଲ୍ଲେନିଦେ. ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀନୀ—  
ଶ୍ରୀ ପା—ଶ୍ରୀ ଲ୍ଲେ—ଲ୍ଲେ ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ ଏ—ଯତ.

ଶାନା ପାଇଁକ୍ଷେତ୍ର. ଶାନପାଇଁ ମନପ୍ରେମୀ. ଶା ନୀଶ୍ରୀନୀ ଶ୍ରୀନୀଲ୍ଲେ  
ପା. ଶ୍ରୀନୀ ଶ୍ରୀନୀ ଲ୍ଲେନିଦେ ଏହାନି. ଶ୍ରୀନୀ ମା ଜାଣିବାକୁ ଶ୍ରୀ—  
ଲ୍ଲେନିଦେ. ଶ୍ରୀଶ୍ରୀନୀ ଶ୍ରୀନୀଲ୍ଲେ ପାଇଁ ଶ୍ରୀନୀ ଲ୍ଲେ ଶ୍ରୀନୀ ଏହାନି,

### ଶାଖା ଥିବା ଶାଖା ପାଇଁ ଶାଖା ପାଇଁ ଶାଖା ପାଇଁ ଶାଖା ପାଇଁ

ଶା—ଲ୍ଲେ—ମନ	ଶା—ଶ୍ରୀ—ପା
ଶା—ନୀ—ଶ୍ରୀ	ଶା—ଲ୍ଲେ—ନୀ
ଶା—ଶ୍ରୀ—ନୀ	ଶା—ଲ୍ଲେ—ଶ୍ରୀ
ଶା—ନୀ—ଶ୍ରୀ	ଶା—ଶ୍ରୀ—ନୀ
ଶା—ଲ୍ଲେ—ନୀ	ଶା—ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ
ଶା—ମନ—ଶ୍ରୀ	ଶା—ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ
ଶା—ଶ୍ରୀ—ମନ	ଶା—ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ
ଶା—ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ	ଶା—ଶ୍ରୀ—ଶ୍ରୀ

ଓରୁଚିଙ୍ଗା.



କା—ଲା—ମି ଗା—ମର—ଶ୍ଵରୀ. ମହାରାଜାରେଣ୍ଟା  
ଗୋ—ଯା—ରୂ. ମା—କା—ରି ଦା—ଶ୍ଵର—ଶ୍ଵରାମାନାନୀ  
ରୂ—ଦି କୁରୁ—କୁ—ନନ୍ଦା. ମୃ—ଲା—ନି କା—  
ରାମଦ—ଶ୍ଵର ଦା—ରି—ପା. ମୃତ୍ତି—ପିତା ଲା ରୂ—  
ରୂ—ଶ୍ଵର କୁରୁ—କୁ—ନନ୍ଦା. ମୃ—ନାନ—ମା ପୁରୀ—  
ରୂ—ନି ମର—ନି—ନା. ମୁଖ—ମୁଖ—ମା କା—ଲା—  
ତୋ ନ—ପିଲ ଗା—ଲାଲ—ଦା.

ମାଲାମି ଗାଥିରୁଶ୍ଵରୀ. ମାଲାମଦି ଗୋପରୂ. ମାନ୍ଦେବି କୁରୁ—  
କୁରୁନନ୍ଦା. ମେଲାନି କାରାମଦ—ଶ୍ଵର ଦା—ରି—ପା. ମେତ୍ରିକ୍ଷେ—  
ଲା ରୂପରାଶ୍ଵର କୁରୁକୁରୁନନ୍ଦା. ମେନାନିମା ପୁରୀଶ୍ଵରି ମନ—  
ନନ୍ଦା. ମୁଖ—ମୁଖମା କାଲାମି ନିଲ ଗାଲାନିଦା.

ସାତିପାତା ରାତା—ମାନ ପଲା ଗାନ ନ ନ.

ମା—ରି—ରୂ—ଲା	ମୃ—ରା—ଶ୍ଵର—ରୂ
ନ—ମୃ—ରୂ—ତା	ଗା—ମର—ନି—ପା
ମା—ନା—ରୂ—ଦା	ଲା—ନା—ଗ—ରି
ରୂ—ଗା—ନ—ରୂ	ନା—ନ—ଗା—ନି
ମା—ମା—ରି—ରୂ	ଗା—ନା—ଶ୍ଵର—ଲା
ମୃ—ନା—ମୃ—ଲା	ଗା—ରା—ନି—ଶ୍ଵର—ନି
ମା—ନା—ନା—ଗା	ମହା—ନି—ର—ରି
ନ—ଲା—ର—ରି	ମା—କାର—ତା—ର—ଲା
ନ—ରା—ମୃ—ନି	ଶ୍ଵର—ପା—ନା—ପା
ନି—ରା—ନି—ଦା	ମା—ନି—ରା—ନି

ଓରୁଚିଙ୍ଗା ଦା.

ମା—ରି—ରୂ—ଲା ମା—ମା—ରି—ରୂ. ନ—ମୃ—

ჩე—თი და—ერა—ჩე. ჩემ—მა ამ—~~ხა~~<sup>ხე</sup>—მა  
სა—ხა—ჩე—ბა წა—ი—კით—ხა. ვი—ზე—  
ხელ—ზედ ხა—წნა—ხე—ლო პატჩან—შე—ნეთ  
ინ—დო—ურ—მა წი—წი—ლე—ში გა—ზრ—  
ჩი—კა. პ—ბა—ნო—ში ხელ—უა—ხო—უა—  
კა—ჩეც—ხე. პ—პჩე—შე—მის ყელ—სა—ხე—  
ერ შე—ერ—კე—ჩე. ხა—ქარ—თვე—ლო მთე—  
ბი—ა—ნი და შშე—ნი—ური ქვე—კა—ნა—ა.

საწერელი მამაწოდე. მმეტეთი დაეითოჩე. ჩემმა  
ამხან აგმა სახაჩება წითელთხა. შაზაფხულ—ზედ საწნა—  
ხელი აეაშენეთ. ინდოურიმა წიწილები ვაძოჩია.   
აბანოში ხელუახოუ ვაკიჩეცხე. მშეენიერი აბ—  
ჩეშემის კელსახეევი შეფიკერე. საქართველო  
მოებიანი და შშეენიერი ქვეყანაა.

### ს ი მ ლ ე რ ა.

ი ა კნახო კენახი,	თოფშა ჭამა მგელი.
რამ შეჭამა კენახი,	თოფშა მგელი,
მიველ კნახე კენახი,	მგელმა თხა,
თხამ შეჭამა კენახი.	თხამ კენახი,
ი ა კნახო თხა,	შეჭამა.
რამ შეჭამა თხა,	ი ა კნახო თოფი,
მიველ კნახე თხა,	რამ შეჭამა თოფი,
მგელმა ჭამა თხა.	მიველ კნახე თოფი.
ი ა კნახო მგელი,	მანგშა ჭამა თოფი.
რამ შეჭამა მგელი,	მანგშა თოშეი,
მიველ კნახე მგელი,	თოფშა მგელი,

მდელმა ოხა,  
ოხამ კენახი,  
შეჭამა.

ის ენახო ქანგი,  
რამ შეჭამა ქანგი,  
მიცელ ენახე ქანგი,  
მიწამ ჭამა ქანგი.

მიწამ ქანგი,  
მანგმა თოფი,  
ოთოფმა მგელი,  
მდელმა ოხა,

ოხამ კენახი,  
შეჭამა.  
ის ენახო მიწა,  
რამ შეჭამა მიწა,

მიცელ ენახე მიწა,  
ოთაგდმა ჭამა მიწა.  
ოთაგდმა მიწა,



მიწამ ქანგი,  
მანგმა თოფი,  
ოთოფმა მგელი,  
მდელმა ოხა,  
ოხამ კენახი  
შეჭამა.  
ის ენახო თავე,  
რამ შეჭამა თავე,  
მიცელ ენახე თავე,  
ჭამა თავე.  
მატამ თავე,  
ოთავემა მიწა,  
მიწამ ქანგი,  
მანგმა თოფი,  
ოთოფმა მგელი,  
მდელმა ოხა,  
ოხამ კენახი  
შეჭამა.

### ა ნ დ ა ზ ი ბ ი.

პეტ შეიღი დედ-მამის მავინებელია.

პეტ ძალლი აჩუ თვითონა სჭამს, აჩუ სხვის აჭმევს.  
აჩა შედღა მწყერი ხესა, აჩა იყო გეაზი მისი.

აჩუა ეისი ყმა კუთხილვაზ, აჩუაზევინ ყმათ  
მცოლია, ძველი პური, ძველი ლეინი, წლის-წლო-  
ბამდის გამცოლია.

პქლემის ქუჩილი და ნემისის ქუჩილი იჩივ ეჩოთია.

ახალ კოტებს და ახალის ანგავს ძეგლით ნიშაული,  
მაღაფრულება.

პთხისთვის გვერი დაუკისდა, რომ არასამ ჩდილობა,  
თუ კაცი თვითონ ას არის, ცუდია გვარი-შეილობა.

ასეთი გოდობის დასწანით, რომ თქვენს შეილებ-  
საც გამოადგენ.

მს ანდაზა აი ჩაშედ არის ნათქოში: ერთ აღავს  
ასეთი ჩვეულება პქონდათ,—კაცი რომ დაბერდე-  
ბოდა, გოდობიში ჩასვამდნენ და კლდიდეან გადა-  
ვალებდნენ; ერთი შრმა ბერი კაცის შეილებმა მო-  
ინდომენს მამისთვის გოდობის დაწენა, ბერი კაცი  
ესმოდა იმათი ლაპარაკი და პქონთა, როს აკეთებოთ  
კაცი ფისთვისაც გინდათთ, მაგრამ ასეთი კი უნ-  
და დასწავლით, რომ თქენ შეილებსაც გამოადგენთ.  
ეს რომ უთხრა, შეილებმა ხელი აიღეს ამ საჭიროდ.

შალდებს კის კოტებით იყიდება, მაგრამ იქ წასელ-  
მოსედი დობის ერთ ჯორისთა მისის საგრძლოოთა.

შენს სპილოს კურში დაუსამონდა, გაზაფხულომ-  
დისინ დაბრია, მეტაც გამოვიდა და სპილოს მაღ-  
ლობა უთხრა. სპილომ უთხრა, კინ ხარის მეშენი  
ასც შესეღვა გამოვიდა, არც გამოსეღვოთ.

პაც რომ გალისიდება, თავში ჭკვა გამოაუ.

ჩაქნას კაზგმა მონარიდება, თუ დუშაში ას მოაუ.

ზაქონების ტალკეები ხდი.

დილის უქნის ხარ სტუმარით, საღამოს კერძოსიდ  
იქცევით, თუ ხანიდაგივეონდა სპილენძათ გადოკეცევი.

მრთი ჩევვენი მოიქნების ძეგლისას აღმაზს და

ზღვაში უკუგდებს, ათასი ჰერთანიც ჩომ მოგონ-  
ულებს, კელა გამოიტანს.

ვაშლი ჩომ მაღლა შევდო, მინაშ ჩემოვარდება,  
ამაშიც დარ გოვლის.

მის ჩქა არ გამოუფიდა, თავი პატარა ეფონა,  
ხბორებში გაერთა.

მარტე მხარ თარხანო, ჩა ჰერაზედ თხლათ ხარო.

თავვებმა სოქეებს კატას ეჭვანი შედაბათ, ჩომ  
ეცლარ მოვევეპარისო. პრინცს, მავრამ შემბმელი  
ვერაერ გამოაჩინებს, უკელას ეშინოდათ.

• თევზშა სოქეა: სალაპარაულ ბევრი მაქებს, მაგრამ  
პირი წყლითა მაქეს სავსეო.

შენდ შეკვდით და თუნდ შინ მოუსვლელი.

შინდიეთში ეირი ხეზედ გაეიდოთ. პშის მოქმედს  
უთხხებს: ქს ვინი და ქს ხე, ამა აქც გაეიდესო.

მარ მოქმედს კა გამგონიც უნდა.

მატა თევზი უყვარს და წყალში იქნის დასკე-  
ლება კი ეზარება.

მატა ძებნებს ცერ შესწედა, პარასკევით.

მაცი კაცის წამილია.

მაცი უნდა ხერხი იყვებს, გაქონდებს და გამოჰ-  
ქონდებს.

მაღლი პერნი, მარილიც მოაყიდე.

მაშა ნახე, დედა ნახე, შეილი ისე გამონახე.

მართლის მოქმედს ცხენი უნდა შეკრისული  
ედგას, თქვებს და წაფიდებს.

მაძლარს შშიერიც მაძლარი ეფონა.

მელამ თავისი კუდი მოწმად მოიყვანა.  
მელა მახეში გაება, თავი მოიმტინა ქართველი  
იქმნება.

მთა მთას ას მოხვდება, კაცი კაცს კი შეეუჩება.  
მკედარს ლომს ცოცხლი ძალი სჯობია.  
მეტის-მეტი სიწმინდება ტრაპიზონი დააჭკია.  
ნამუსიც კაი საქონელია.

ნუ დასკინებ სხედა, გადაგხდება თავა.  
ნუ იქ ავხა, აფისაც ნუ გეშინიან.  
ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმე-  
ვნინონ.

ობოლი გაზდას მოყლის, ღარიბი გამდიდრებასა.  
პირში მაქებელი ეშმაკის მოკიტელია.  
საღაც შენი სოქვა, იქ სხედაც სოქვი.  
საქმეს წაახდებს რეგეენი, ფათერაკს დააბრალებსა.  
საქონელი პატრიანს ეგვანება.  
სიბერემდინ სწავლა კაცს ას მოსკარბდება.  
უჩემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამო-  
ჩნდება.

ლაგროვი ნუ შეჰყო ვაჟვაცა ცოლია ყმელია  
და მძინარეს: ის შესლის, ის დააბერებს, ის შერ-  
თავს წყველია მდინარესა.

სჯობს სიკოცხლესა ნამრაბსა სოკედილი სახე-  
ლოვენი.

კირველი, უამდეგ არეანისა, საკითხები წიგ-  
ნი მოსწავლეთათვის.

ცარიცალი  
პირების მიერ

### III რ 0 მ ა მ ლ ა შ ი ნ ჭ ა.

ორი მამლუკინწა წაიყიდნენ და ერთმა მეო-  
რეს აჯობა. ღამისუცემული მამალი გაიტკა და სა-  
ბძლის ქვეშ შეძენა. ზამისუცემული მამალი შე-  
ფრინდა საბძელზედ და რაც ძალი და ღონე ჰქონ-  
და თაემოწონებით დაიყიდლა: ყიყლიყო! ბშ ღრის  
გუქნდა საიდგანაც ქოჩი, დაფრინდა მყეირალის  
და წაიღო განმათ.

### მ ა მ ა ლ ი დ ა კ ა ტ ა.

იყო და მის იყოსთა, იყო ერთი მამალი და უწ-  
ოთ კატა. ცხოველებინენ ერთოთ მმუქათ. პატა სა-  
ნაღინოთ დადიოდა ტყეში, მამალის კი ეტყოდა  
ხოლო: შინ იჯექი, თავი კარში ას გამოყო, თო-  
რემ მეღოთ მოგეპარება და შეგქამს. მრთხელ კა-  
ტა წაეიდა ტყეში. ზანდა მელია, მიუუნცულდა  
ფანჯარისთან და ტყბილათ შესძინა:

შიყლიყოთ მამალი,	ტურთა ღაბაბიანო!
მაქროს ბიბილო-	შანჯრიდგან გად-
ვანო,	მომხედე,
შშენიდრ ქოჩიანო,	საკენ კი დაგიყაჩო.

მამალი შესუდა და სოქვა: მოღი ერთი გაფიხედავ,  
ვინ ლაპარაკობს ასე ტყბილათ. მავი გამოყო, მე-

ლოამ სტაცია პირი და გააქცია ტურნირი! შემაღლება  
საცოდავათ ყვირილი დაიწყო:

შევუცხარ მელის	შოთა რეზნი
დაბურულ ტყისკენ,	მატაე მმობილო,
შალალი მთისკენ,	მიშველე ჩაზე.

მატას შემოესმა მამლის სმი, გამოუდევა მელის.  
დაეწია, გაავდებინა მამალი და მოიყენა შოთა. ზეს-  
მის, ძმობილო მამალო, უთხრო კატამ: ხეალ მე  
უფრო შორს წავალ, ნუ დაუჯერებ მელის, ნუ  
გამოიხედავ ფანჯარაში, თორიემ ისე შევჭამს მელა,  
რომ შენი ძელებიც აღარ დანარჩენოს.

შავიდა კატა. მელის ისევ მიუუნცულდა ფანჯა-  
რისთან და თავისებურათ ტებილი სმით დაიწყო:

შიულიყოთ მამალო,	შანჯარიდგან გაღმომ- ოქნიოს ბიბილოვანო,	ხედე,	
მშეენიერ ქოჩიოანო,	მარცულები დავიყითო,	ლამაზ ლაბაბიანო!	საკენ კი გავიჩინო.

მამალის ძრაველ უნდოდა დაენახა, რა მარცულები  
მოიტანა მელისამ, მარამ თავი შეიმაგრა ჩოგორის  
იყო. მელისამ ნახა, რომ მამალი ას ისედება, დაიწ-  
ყო ხელ მეორეთ:

შიულიყოთ მამალო,	თავადები მიღიან,
ოქნიოს ბიბილოვანო,	შეტევი ბევრი ებნევათ,
მშეენიერ ქოჩიოანო,	პშერეფი კი ასა ჰყავთ.
ტურიფა ლაბაბიანო!	

მამალმა ეელარ მოითმინა, უნდოდა დაენახა,  
რა ფეტვი დაებნათ თავადებს და გაღმოიხედა; მე-

ლომ სტაცია პირი და გამომენინა. შამალი კიდევ  
დაიწყო საშინელი უეირილი:

შივეევარ მელას შორეულ შინისკენ, ა  
დაბუჩულ ტყისკენ, ძატავ ძმობილი,  
მაღილი მთისკენ, მიხსენ ჭირიდვან.

შორს იყო კატა, ძლიერ გაფინა მამლის ჩბა,-  
მან უ კიდევ გამოეყიდა მელას, ჩოგორი უ იყო მო-  
ეწია, წაგლოჯა მამალი მელის პირიდვან და გამო-  
აქანა შინისკენ.— მხლა კი უფოხილდი მამალი,  
ხეალ მე უფრო კიდევ შორს წავალ, ნუ გაუცო-  
ნებ მელას, ნუ გადმოისედაშ ფანჯრიდვან, -თორებ  
რამდენი უნდა იყელო, მე ვეღარ გამოვონებ.....

წავიდა კატა და მელამ კიდევ ფანჯრისთვის შე-  
მოსხახა:

შიკლიყოთ მამალი,  
მქრის ბიბილოვანი,  
შშეენიერ ქოჩიანი,  
ლამაზ ლამაბიანი!  
შანჯარიდგან გადმო-  
იხედე.

მრით შევით შეიხედე,  
ჩოგორი მოიდვან თა-  
ვისუათ,  
მოუკრამენ ჩქარა  
ჩქარათ,  
მარხილები სამურათ.

მამალს უნდოდა, ჩომ ცალი თეადით მან უ  
გადაეხედნა იმ თავის-თავათ მომცურნავს მარხილე-  
ბისათვის, მაგრამ სოქეა: არა, ეხლა აზ გადაეხედავ,  
ჩოუკა მელია წავა, მაშინ გადავიხედავ. მელია მა-  
ნ უ კიდევ ცდილობდა, ჩომ მოეტყუილებინა მა-  
მალი; მაგრამ მამალმა უთხრა: არა, შენ მე ვეღარ

მამატუუილებ, მელავ; არ გამოიყინედი. — მე / შექთან  
მოსატუუარი ჩა შექვე! გაყირვებით, უკიბრა მე-  
ლამ. მინდ გაღმოიხედე, განდ ნუ შე: რა შედე-  
ლობით, შინ წასელის დროა.

მელია გამოცუნ ცულდა და იქვე კუთხეში მი-  
ისალა. მამალის აღარ ემის მელიას ბმა. პბა ერთი  
გადეიხედო, მართლა წავალა მელია თუ არა, — გად-  
მოხედა მამალმა, მელია მიეპარია, სტაცა პირი და  
მოუსეა ტყისაკენ. უკუნურმა და უპელერმა მამალ-  
მა ბეჭრი უძხა თავის ძმობილ კატას, მაგრამ კატა  
ზორს იყო, ერ გააგონა.....

## მელია და მიელი.

შროხელ მელიას ძრიელ მოშეცვა, და დაიწყო  
გზებზედ აქა იქ წანწალი, უნდოდა საჭმელი ეშოვ-  
ნა. შროთ ენახო, ერთ გლებ-კაცს მართლით  
თევზი მოჰქონდა ჭილობ გადავიარებული. ღაინა-  
ნა თუ არა ეს, მელიას ქბილებმა კაწეაწია დაუწყო.  
ჩა კარგი იქნება, რომ ერთი კარგით მივაძლე ამ  
თევზი, იფიქრა მელამ. ზორბინა და ზედ შეა გზა-  
ზედ გაწევა, კუდი გადავდო გვერდზედ, უქები  
იაჭიმა, — სრულიად მეუღლია რაღა! მივიდა გლეხი  
ახლოს, უქედა მელიას და სოქეა: კარგი ჭობის  
საყელო არ გამოიყა ჩემს ცოლს ამის ტყებისა. მო-  
ავლო მელიას კუდზედ ხელი, გადისხოლი მართლი-  
ში და გადააფარა ჭილობი; თბილ ხარს გვერდზე

მოუდგა და მიღიოდა. ჩექნ მელისაკის უწყვეტა:  
გახერიტა მარხილი და დაუწყო თევზს უწყვეტან. უწა  
ძირს. როცა სულ გამოიყარა თევზები, შემოწერა თევ-  
ზაც მარხილიდგან გამოიძერა ნელა. შლები მოვი-  
და შინ და ცოლის ახარი: თევზიც ზექრი მოვიტანე  
და ერთი კარგი ქათიბის საყელოცა. შადაბადა მარ-  
ხილს ჭილობი და ცარიელი კი დახვდა.

მელიამ თევზი საჩქაროთ შეზიდა სორიში და  
ჭამა დაუწყო. მრთი ენახოთ დაინახა—მცენი  
გაცხარებული მორჩის. საწყალს შიშმილით ფერ-  
დი ფერდის მიმექრიდა. ზამხაჯობა, ჩემო ნათლიავ,  
რას მიიჩიოდევ!— თევზსა, ჩემო სეინა. მრთი მეც მი-  
თავაზე.— ღია! როგორი არა! პირი დააღდე! რა შეი-  
ლი ხაჩ! მე დავიკირა, შენ კი შეექცე!— „ მრთი თა-  
ვი მაინც მიბოდე, ჩემო ნათლიავ“ — „ მოლოზედაც არ  
გასუნ ებინებ, ჩემო საყვარელო სეინა. შენ თითონ  
დაიკირე და ქვეფი გასწიო. “ — „ ზანა ეგ თევზი შენ და-  
იქიმიე? ” — „ მაშ არა და შენა! ” — „ მაშ მეც მაინც მას-  
წავლე დაჭერა. ” — „ მავისი კი ბატონი პრანალებით:  
მოძებნე წყალზედ ყინულში ამოქჩირი ადგილი, ჩე-  
მო საყვარელო სეინა, ჩამყავ შეგ კუდი, დაჯერი ზედ  
და იბუტბუტე: გაები თევზი ბატეში დიდო და პა-  
ტარა, — და ისინი თავის თავათ გაექმიან. ”

მცენმა იპოვნა ეგრეთი ადგილი, ხაუთ წყალში  
კუდი, ზის და ბუტბუტებს: გაები თევზი დიდო და  
დიდო. მელიამაც მორჩინა, დაწყო მცენის გარე-  
შემო სიჩილით და ამბობდა: ეგრე გაიყინე, კარგათ

გაიყინე მგლის კუდო! — რა ამბავი გვექვს, ნათლიად, რის ამბობ, პეტებეს მგელი. — იმის ჩახაუ შენ; გვები თევზო, დადო და პატარა.

30 02 1910 10:00

ღრმა არ არის გველა ამოვილო კუდი, ნათლიად! პეტებეს მგელი მელის. — ჩექი არა, ჩემთ სეინა, მე გვეტუვი როცა დრო იქმნება, ეუბნება მელია. მგელი ზის და თავის სიტუაციას იმკონიება, მელა კი თავისა. მელამ როცა შეიტყო, რომ კუდი კარგათ გაეყინა, უთხრა: ახლა ამოსწიე, ამოილე, ჩემთ სეინავ. მგელმა ამოსწია, მაგრამ შენი მტერი რაც იმან კუდი კედარ ამოილო. — «პი ხედავ, როგორი გაუმაღლარი ყოფილ ხარ, აუკერძოდა მელა მგელია. პქამდის სულ იმის იძაბლი: გაები თევზო დიდო და დიდო და ახლა კედარს კი ამოვილია. მოიცადე მე დავუძებ ეისმეს, რომ გაშეელოთ.» — მელამ სახქარით მირჩინა სოფელში და დაწყიც ძხილი: « წამოდით მგელი მოკალით, კუდი წყალში გაეყინა და ეპლი დაძრული. » — სოფელიდეან გამოიქცენ ზოგი სულით, ზოგი კუტით, მირჩიან წყლისაკენ. მგელმა დანახა, რომ ახლა კი ახსახულის დღე მოუვიდა, რაც ძაღლი და ღონე პქონდა გაიწიო — გამოიწიოვა, კუდი ძირში მოიწყეოტა, და უკუდოთ გასწია ჭენჭულით. — « ჩემთ საყვარელო სეინავ, მისმახის მელა, დაძრუნდი, სად მირჩიხო, თევზი აქ დაგაეკუდა... »

19. 9. 11

02/02/7



8006160080

მოტემ კინ პატივია ბალჩიში დაზურ ბალი,  
კუნძულ მოუარია და რამდენსამე წელიწადის კუნძ  
დიდი გაზარდა. ფიც სიხაზულში იყო ხველმე  
გამარტინულზედ, როდესაც ბალი თეთრია კუვილის  
გამოიცემაში. მრთს ღმენის მოტეს შემოვაძოს თხა ბალ-  
ხაში, ბალი სულ გაკუთრნა დაქუჩიქვ ააშიო. მეო-  
რე დილაზედ მოტემ ჩიაშ ნახა თავისი ბალი გაეკა-  
რტნილი, საშინლად დაღინდა, და თითქმის ტიხი-  
რილიც დაწყო. შენ საწყალო ჩემი ბალო, რა უ-  
დიროვთ უნდა მომშორდე. ჩერ ფოთლები, ტო-  
ტები კოდევ ნედლი გაქის, მაგრამ ამოვა მხედ, მო-  
გადგება უქუჩი ადგილზედა და მაშინ — მშეკრი-  
ბით — გამშები. როგორ ძრიელ მოყვარიდი და რო-  
გორ ძალიან მეჩაღვლება შენი უდიროვთ ხეკვდი-  
ლი. მეზობელს შემოესმა მოტეს მწყვხაჩება და  
შეეკუდა. მოვიდა ახლოს მოტეხოან და უოხრა;  
რისთვის სწუხანი ეგრე; უფრო ის სჯობია, ჩენ ამ  
ხეს უშეკრიოთ რამე. მეზობელმა მოიტანა ხის ფი-  
სი, გაათხელა, დაუჭრა იმ ადგილს, საცა ბალის ქუჩ-  
ქი აძრიანილი ჰქონდა. მოტეს იმედი მოვეცა თავის  
საყვაზელის ხის მორჩენისა, დაძრიელ გოგხაჩდა. მარ-  
თლა და არც შოსტეულდა. მეტე ისე მალე შე-  
მოიტარეს ბალშა, და რამდენსამე წელს უკან სუ-  
ლაც აღირა ეტყობოდარა.

## ვაზი და ხეხილები.



უსოფროება

პირების მიერ

ერთმა მებალებმ თავის ბაღში, რომელშიც მარტო ხეხილები იდგნენ, გაზაფხულზედ მოიტანა ვაზი და დარბო. ხეხილებს ძრიელ ეწყინათ და დარწყეს დაცინდა: შეხედეთ, შეხედეთ ჩენ ახალ მეზობელს, თვითონ ას შეუძლია სწორეთ დადგომა; ას შეუძლია დაიფარის ენშე სიცისავან; ას შეუძლია დაიმაგრის პატარა ჩიტის ბუდეც; რის თვის დარბეს აქა ამა ამას აა ხილის მოსხმა შეუძლია?

მე იმისთანა ნაყოფს მოისხამს, თქვენი ნაყოფი იმასთან გამოსაჩინიც ას იყოს,— მოიცადეთ მარტო შემოდგომამდისინა,— მაშინ შურის თვალით შეხედა თქვენს ახალს მეზობელს, რომელიც ეხდა გჭულთ,— უთხრა მებალებ უსამართლო ხეხილებს, და რაც სთქა აღსხულდა. მოფიდა შემოდგომა და ვაზმა დაიწყო ამპატაკენება თავისი დამკრახული რევნებით. მაში ყოველს დღეს ვულმოსაკლავად დასცინოდა ხეხილებს და მოავრნებდა იმათ უწინდელს უსამართლოების; კიდევაც ითხოვდა მებალებებან, რომ ამას ბეხილები სულ დაეგლიჯნა და იმათ მავიერ ბაღში ვაზები დაეჩირ.

პრა, შენ უსამართლოდ ექცევი, უთხრა ვაზს მებალებმ. მარტალია, შენ კარგს დაინოს მაძლევ, მავრამ ისინიც კარგ საჭმელ ხილს მიმზა-

დებენ. ისინი შენზედ ნაკლებ სიკეთეს / არ/ მოშ-  
ვრებიან.

ურავისები  
პირების მიერ

### მ ა რ ტ ა ნ ი.

მარწყვი არის მინდეტის პატარა მცენარე, მწიფ-  
დება კაცელა ხილზედ წინ. მაისის დამდეგს მარწყვი  
მოისხვავს პატარა ჩვევალ მარცვლებს, რომლებიც  
ჯერ თეთრათ გამოჩანან ზალახებში, მეჩე თანდი-  
თან წითლდებიან, როცა სულ დამწიფდებიან,— წი-  
თელი სისხლივით მომდევნენ ხოლმე მინდოთს. მი-  
ძაოთეს დამდეგს მარწყვი დამწიფებულია. შეელას-  
თეს მარწყვი საყვარელია, მაგრამ პატარა ყმაწევი-  
ლებს კი უფრო ძრიელ უყვარს. ქვირა უქმით  
სოფელის ყმაწევლები შეკრიფებიან ხოლმე ერ-  
თთ და მიღიან მინდოთში მარწყვებედ. ჯერ ჭამით  
გაძლებიან, მეჩე მარწყვის კონკებს შეკურამენ და  
საღამიაზედ წამოილებენ შინა. შიაგბიც ძრიელ ემ-  
ტერებიან მარწყვსა, ფრიეთვე ფრინველებიც. რაღა-  
ვანაც ძრიელ ტებილი საჭმელი არის. მარწყვს წამ-  
ლათაც ხმარობენ. ზამხმარი მარწყვის ჩი თველის  
მომგერელია და გაციებულისათვის ძრიელ კახვია.

### პ ი ნ პ ა რ ი.

სოსოს მაყვალი ძრიელ უყვარდა. სიხარულით  
მოელოდა იმ დროს, როცა ეენაში მაყვალი  
დაწმწიფდებოდა. მოღოს შეა ზაფხულში დაუმ-

წიფდა მაყვალი. მრთს დილის თავის მისა გატყეა  
ცენააში. პერდა თუ არა ხოსო, მაშინეული დაბების-  
კენ გაექანა,— აქ იცოდა მოსცელს მუჯტელში. მაყ-  
ვალი კი მართლა ბევრი იყო დამწიფებული, მაგ-  
რამ, დახე ხოსოს ბევრა, გარე შემო სულ მაღა-  
ლი ჭინჭარი ჰქონდა შემორტყმული, თათქო კისმე  
უძრავლები დაუყენებია მაყვლისთვისთვის. ხოსოშ  
იცოდა კარგათ, ჩოგორი წყევლა მცენარი ჭინ-  
ჭარი, ჩოგორი ცხარი ქმნა იკის. პშიტომ დი-  
ლის სიცხოსილით დაუწყო ქრეფა მაყვალისა,  
ცდილობდა ხელი, ან პირი ან მოქადაცებინა  
წყევლის ჭინჭარისათვის; მაგრამ ამათ ქბი-  
ლებს მარც კიდევ კერა გადაუტინა. მახან სამგან  
ხელები დასუსტესებს და ერთი მაღალი ჭინჭარი  
ცხვირზედაც მოხედა. ძალიან ემწარი ჩეკნ ხოსო-  
სა, დაღრიეცილი და თვილ— უკემლიანი ვაიქცა ზა-  
მსკენ და უთხრია, მიშეეღე რამდე. შექვენებულმა  
ჭინჭარებმა დასუსტესებს, ძრიგლ მეჩების, ჩემ დღეში-  
აკ რომ მაყვალი არ მექამა, ის მისმა მეცნევითდა. აქმ-  
დის განა არ იკი მოგისი წამალი უთხრა მამამ.  
პლვილი მოსახიერია; მიიყვანა ხოსო წყლის პირს  
და სკელი მიწა დაადო დასუსტელ აღვილებზედ,  
ცოტას ხანს უკან ხოსოს ტკიფილი თითქმის სულ  
დაუამდა. მაშინ მოუბრუნდა თავის მამას და ჰით-  
ხა: როხია წამალი მასწავლებ ამ ჭინჭარის დასუსტები-  
სა, მაშ ისაკ მოთხორ ჩოგორი სუსხმას კაცს ეს ჭინ-  
ჭარი. მამამ მიიყვანა ხოსო ჭინჭართან და უთხრა;

ო. დახედვ, ქინ ჭრის ფოთლებს გარე შემო ასხა  
ბაღნები. ამ ბაღნებს, დაუკეტიდი, ურთებულის წევ-  
ტიანი ბოლოები აქვთ. მს ბაღნები ვატარა ჩან-  
ჯლებისავით ასო შვერილნი არიან და საშინლით  
იყბინებიან. ამათი ქენა მისოფის უსიებს კაცა  
ხ. არცა, რომ ბაღნები შიგნიდვან არიან გამსებულნი  
შეავე შხამიანი წევნითა. როცა ბაღიანი შეერკევება  
ტყავს, მაშინ ამას მოსტრება ბოლო, აქედგან  
შხამი გამოვა და კაცის სხეულში ჩავა. მაშინ ნაკ-  
ბენი ადგილი კაცს დაეწვის, პატარება და დაუსავ-  
დება. ზოგ ქვეუნებში ახდოთ ქინ ჭრები იშრდებიან,  
რომ ამათ დასუსტებს ადგილიდ ექი მოუწინება კა-  
ცა. ბა, მავაღითებები, ინდივიდუალური არის ქინ ჭრი, რო-  
მელიც იქინება ისრე მწარეთ, რომ კაცს მხრედის  
ხელს დაუსივებს და თითქმის ერთს კურნის საშინ-  
ლიდ ატკიცებს. ზოგჯერ იქამდინ მიდა ხოლმე სა-  
ქმე, რომ ნაკბენი ისო კაცმა უნდა მოიკრის, რომ  
სიკედილს მოაჩინა. შინ ჭრი შეერგან იშრდება და-  
ლი ხეების ტოლა.

მაშ ეს წყეული ქინ ჭრი მარტო კაცის საწვა-  
ლებლიდ ყოფილი გაჩენილი, წამოიძახა სოსომ. — შენ, ჩემთვის ხოსტი, კინგი დასაომება ვერაციულია,  
უთხრა მამამ. აღარ გასსოდს განა, გაზაფხულზედ,  
რომ ქალებს წამოჰყებოდი ხოლმე ექნახშა, მუზ-  
ფაედით ქოჩივა ქინ ჭრისა, მოიტანდით შინ, გამზ-  
ჩევდით და მშევნეობის შხალს გავკეთებდით ხოლ-  
მე აღარ გასსოდს განა, რომ ყველაზედ ბევრის ია-

შხალს შენ სკამდი ხოლმე? რატომ მაშინ ~~ა~~ კუდი-  
ხობდი ვერე კინ ჭარჩედ? სხვა ქვეყნებში კიდევ  
სხვანაირათ საზეგაბლობები კინ ჭრილებან. მაგრა შესწა-  
რე კინ ჭარჩი კოფილა კუსოსთვის გამოუსადეგობა,  
ჩემთ ხოსო....

### პ ა მ პ პ.

ჩეენს ხაჭაროველოში მარტოკა მიერეთში მო-  
დის ბამბა. მართლის და მახვის სიცეიებს ბამბა  
უქმ აიტანს; ამიტომ აქ ბამბას არა სოესენ. ხაზო-  
გადოთ, ბამბას უყვარს თბილი ადგილი. ბამბას  
სოესენ გაზარტულზედ, და შემოდგომაზედ კრეცენ.  
ბამბა სიმაღლით იზრდება თითქმის ერთს ადლზედ.  
რამდენიც ბევრი ტოტები აქვს ბამბას, იმდენს  
უფრო ბევრის პარკებს შოისხამს. ბამბის პარკი დი-  
დო კაյლის ტოლა არის; როცა პარკი დამწიფდე-  
ბა,—დასქდება და ბამბა თეთრი თოვლიერი ხამუ-  
რათ გადმომშლება. უცელა ბამბის კვირცები კი  
ერთს დროს არ მწიფდებიან. ჯერ მწიფდებიან ქვე-  
და ტოტებისა მერე ზედა ტოტების პარკები; ამი-  
ტომ ბამბის ერთათ მოკრეფა არ შეიძლება. ჯერ  
მოკრეფენ ქეეითა დამწიფდებულს პარკებს და მემ-  
რე ზევითებს. ახალ მოკრეფილს ბამბაში თესლი  
არის გამოხვეული. ამ თესლს გამოუკლიან ბამბას  
ჩიხრიხითა. თესლის გაცლის შემდეგ, ბამბა მიაქვთ  
ქალაქებში გასასყიდვათ. ტანისამოსი ხალხისა თით-

ქმის ნახევრობით კეთდება ბაშბილგან. პშემანა სა-  
სახუებლის ბაშბა კაკისათვის! ეს როცხული  
პისტარისა.

### შ ა მ რ ი ს ლ ი რ ა ზ ა ბ.

შაქრის ლერწამი იზრდება სიმაღლით ორი ად-  
ლი, ან მეტი. შაქრის ლერწამის ეძახის ამიტომ,  
რომ ამ ლერწმის წევნილგან კეთდება შაქრი.  
ჩვენს უმრავო ლერწამს ძრიელ წავავს, ამისავით  
ბევრი მუხლები აქვს, ამისავით ჭაობი ადგილი უ-  
კუთხს. პშირომ ამ ლერწამს სოფენ ჭაობის და  
ნოტიან ადგილებში. პყვევების დროს დასკრიან  
ლერწამს, გამოსწურამენ წვენს ჭურკელში, მეტად  
ბევრს ხანს ადულებენ ქვაბებში, რამდენჯერმე ერ-  
თი ქვაბილგან მეორეში გადასხმენ, მოლოს და-  
წმენდენ და დარჩება შაქრი. რეა გიჩენქა ლერ-  
წმის წევნილგან ერთი გიჩენქა წმინდა შაქრი გა-  
მოვა. შაქრის ჭარხლილგანაც აკუთხებენ-უფრო სა-  
ფრანგეთში და რუსეთში.

### ხ ი ლ ი ა მ ი ბ ა.

მარწყემა სოქვა მოფალ პირეელიდ, მე ეფრა ში-  
სწრობს ხილია,

შეზად მშვევს გან ლალისა, მერმე საჭმელით  
ტებილია,

წინათ მამისწრობს ტუემალი,—მფავე არის და  
გრძელია.

შისგან ჩიუან კველანი, ესჭამეთ შოდვიცით კბილია.

ერთოვება.

ტყემალმა უოხრა შეფარცევნი, შემწყები, ეს  
საუბარია;

შემცირ ხის ყოველთა, არა ხილთა რა დარია;

თავსა მოგვამენ კინი, ძირი გაქცე მეტათ მწარეა,

შემოთ ლხინი არ გახდა, ასუღი რა სანუკარია.

ზალმა უოხრა, აშანავნო, თქენ ვერ იტუკოთ  
ჩემსა ძერჩია;

ხეხა თეორიათ აფიცევებ, დაერმშეენებ ჩემსა ძირია,  
მირალის მგზავრად გადაიცევი, ლალის ფეხიად  
შეგნით ჰერგა,

შაქრის მგზავრათ გადაიჭრეთ, რა ჩამიღებს კაუ  
პირია.

ოსილმა სოქეა გადარით მირთალი, ჩემი პირუ-  
ხი გულია,—

მომყენოთ ტუკილ-ტუკილია, მე მან გამავულია,  
ხალხინოთ შესატევარი მე ვარ ყოველია სხეუ-  
ლია,

ვარ მატყივნელი ქმილია, მეტე დამწველი გუ-  
ლია.

ძლიავშა უოხრა იყენით, არა ხირი ჩემი დარია;

ცოტის ხანისა სიკოცხლე, რა თქენი საკეთხოე,

შეეღა უფეხო შეყრილხარი, ცუდი გაქცეთ

საუბარია,

შეტი უცემოვის ყოველთა, ვარ დიდი სანუ-

კარია.

მაყვალმა უთხრა აზა გარ ხილი დევონებრივ  
ქიმული,

სარწმუნავი

შეიცი გარ ყოველთა, აზ გიხებრ შირჩებრებრი;

შედან მასხია ეკალი, მისთეის გარ დაწუნ ებრებრი;

პირველ გლოხა გარ ყირმიზი, მემაჟ პირვაშევე-  
ბრებრი.

პიტრმა სოქეა რაღა ვიკადრო საქმე ქებისაჩემისა,  
ტებილი და მეცე აზა გარ, კაცი რათ მემოვე-  
რებისა,

ხრიდი გარ, კაცია გაებერავ, თავი მე აზ მექებისა,

ვინცა ჩემითა განძლება - ცოქა შეცურებისა.

ნეხემა სოქეა ქიფი ამისთეის, მიწასა მომავრი-  
ანო,

რა გაეიზდები საჭმელად, ყველანი მინატრიანო,  
მოელენ მძებნ ებენ, მოეებენ, ხორცია დანითა  
პერიანო,

ოცებას, მერმე ახელებას — კის ჩემგან შეიუჩი-  
ანო.

საზამთრო იტყვის ნუ უბნობთ, მე აზ გის და-  
გოცილებო;

თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარენდე-  
ნებო,

შეწესებულსა სიცხითა, მე გულსა მოუფრილებო,  
ვარ ჯანიოზი ექიმი, სნეულსაც მოვალეინებო.

პრამშა სოქეა რა ვიკადრო საქმე ჩემისა ქებისა,  
შეეთეს გარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა,

შეური უხარის ყველისა ტურფისა სან ახვერისა,

მე და ნებენ ვართ ყოველისა მშენელი სენის  
თავისა.

მაშლმა უთხრა შეკრებითი თქვენ-უკრაშაზე წარ  
ჩემი დარი,

შენ ყოველთა საყვარელი, სამური, საქებარი,  
ხალხინო და სანალიმო, სუფრაზედან სადებარი,  
ზუღის ჭირის უკუ მყრელი, არად უნდა ხაუბათი.  
ბრონწეულმა სოჭვა ეტი უბნობი მართლითა  
სამართლითა,

ჩემ უტურიფესი ნაყოფი არ ცის უნახავს თვალითა,  
მე ჩემსა ხესა მოვეკაზმამ, ტურიფათ შევამყობ ხი-  
ლითა,

ღარბაზს სუფრისა ავაესებ იავუნდითა, ლალათა.  
ნიგოზმაპა სოჭვა მე კაცი ჯოხისა მესერისან  
ხელითა,

მომტეხენ, ტყაესა გამზდიან, პირს ჩამიდებენ  
ხელითა,

ზუღითა მასპინძელი ვაჩ, ნიადავ მხიარულითა,  
ქაცისა საჭმელისა შეუმყობ, კადეც ვალხინებ სუ-  
ლითა.

ჰერამი იტყვის ეტი იტყვით თქვენ ჩემსა ეტას  
ძერჩისათ,

ჩემი ხე თეორიად აყვავდეს მსმელნი სხდეს ჩე-  
მსა ძირსათ,

როდესაც თვალი შემეტოვის, მოინდობენ ჭირსათ,  
ქაცი მქამს ჭირსა შეიყრის, მერმე მაგინებს  
უფრისათ.

৬৮০৬৩০৩ ০৯০.

ବୋର୍ଡୋ ଡେଲାଇନ୍‌ମ୍ଯାନ୍‌ଡ୍ରାଫ୍ଟ୍

ჩიტები არის პატარა ფრინველი, თანი გოჯის სივ-  
რცე, მაღალი და ნაცრის ფეხი. ჩევნ ყოველ დღე  
ვხედავთ ჩიტებს, ამიტომ ჩობ ხეხლების ახლო უკ-  
უას ცხოვნება. მეტად ძრაველ მზავლდება ჩიტე-  
ბი, სადაც ბეჭრს პუშის სთესენ და პუშიანი ადგა-  
ლია. მს ამიტომ, ჩობ ჩიტებს უყვარს ჭამა პუშის  
მარცვლისა, ფერებისა, კლევ უყრიძნისა, მაღალი და  
სხვა ხილებისა. ამითი ჩიტების ზარალის აძლევს  
კას, მაგრამ ბეჭრს სოკეთებაც უშერება: შოთავე  
ბეჭრს ბურებს, ჭიაებს, კალიებს, რომლებიც კა-  
ცისთვის მავნებელნი არიან, და აჭმევს თავის შეი-  
ღებს. ამიტომ, ჩობელს ქვეყანაშიაც არ არიან  
ჩიტები, იქ კაცები ცდილობენ ჩობ ესენი გაამ-  
ხავლონ. ბუღეს ჩიტები იკეთებს ბანების ქვეშ, საბ-  
ძლებში, კაშვების კედლებში, ხეების ფურურო-  
ებში. ხან მეტაცალს წარითმევს ბუღეს და თავის  
შეიღებს იქ გაშიდის. ბუღეს ჩიტები აკეთებს ბუბბუ-  
ღების და ჩელით. დედალი ჩიტები წელიწადში იმა-  
ჯერ სდებს კვერცხებსა სამიღვან ექვსამდის. ბარტ-  
უები დოდი ხანი ჩიტების ბუღეში და დედა ბეჭრ  
წალებას გამოიყენს ხოლომ იმათ გამოზრდაში.  
პიდევ კარგია, თუ გაზარდა და დააფრინა. მაგრამ  
ზოგჯერ შეა—მზარეულოთ გაზდოლს შეაღებს, და-

საფრანთ მომზადებულებს, ბუღიდვან პატარი მოქები  
გამოუსხმენ ხოლმე. ჩამდენს ჯარის და წერილს  
გამოივლის ხოლმე საწყალი უშედგული დაწერები-  
ლი ჩიტი!

### მ ი რ ი ს ა ლ ი.

დათვის მერცხლის ჭიკვიკი ძრიგლ მოსწონდა-  
ბის სახლში მერცხლებს ჰქონდათ ერდოში ბუღი-  
შილით ჩომ გამოიღებდა, კარგი ხნის ღო-  
ვნში დასხებოდა და უგდებდა კურის სიამოვნებით  
მერცხლების დილის ჭიკვიკს. სეკრემბრის დამდევ  
დღეებში ერთ დილაზედ ჩომ გამოიღება, და-  
თვის აღარ მოესმა მერცხლების ჭიკვიკი. ლო-  
გინიდგან წამოჯდა და ბუღეს შეხედა, მაგრამ  
დარიუ იქ იუკნენ მერცხლები. ამ დროს დათვის  
დედა გარედგან შინ შემოვედა. დათვიმ მაშინვე  
ჰყოთხა: დედა, მერცხლები ამ დილით ჩატომ აღარ  
ჩამოტერენილიან, ჩატომ აღარ ჭიკვიკიდენ! — უთუთ  
წაუდნენ, შეიღო. — სად უნდა წასულიყონენ? გან-  
ცვალებით ჰყოთხა დათვიმ. მცენით ქვეუნებში წა-  
ეიდოდნენ, მოუკი დედამ. — მცენით ქვეუნებში ჩა-  
უნდათ! ზანა ჩვენ საქართველოს ქვეეითი ქვეუნები  
სჯობია! — არა, შეიღო, უძასუხა დედამ: ჩვენ სა-  
ქართველოს ქვეეით ქვეუნები ვერ სჯობია; მაგრამ  
ეხლა აქ აციცედება და ზამთახი მოეა, მერცხლებს  
სიციურის ატანა არ შეუძლიათ — და ჩადგანაც ქვე-

ეთ ქვეყნებში თბილია, როცა ჩემი ჩემთანი და  
ციფა, ამიტომ სკოლებში მეტაცნობია ქვეყნის  
ქვეყნებში მოდიან.

ასე არ იმართოს

ამ ლაპარაკის დროს დათვის ლოგიონში იყო  
წამომჯდები. მათი თუ ამ ლაპარაკი დედობ,  
დათვის წამოსტრი ლოგიონიდან, სისქისოთ ჩიტები  
ტანისამოსი და კარისებ გამოვიდა. უკიდა ბანზედ,  
და ქვეყნით დაიწყო ყუჩება. მეონა, ბოლოს ერთ  
მაინც კიდევ დაეინახა ქვეყნის შიდენილ მეტაცნობ-  
სათ. მეტი უკუჩა ქვეყნი, მეტი კერი ფერი ვერ  
დაინახა. საშინლად დაღონებული ჩამოვიდა სახლ-  
ში. დედა დათვისი ცოტებით სახლისა გვიდა. მაშ  
ეს ეს არის, სულ წაეიდნენ ჩემნები მეტაცნობი,  
ეკლარ ენაძევ ხემს დღეში ნაღველიანი გულით  
ჰერთხა დედას დათვის. — არა შეიძლო, არა შეიძლო,  
ალექსიანათ უთხრა დედობ, ნუ დაღონდები, მეტ-  
აცნობი გაზაფხულზე ისევ მოვლენებ ჩვენ ქვეყნა-  
ში, ჩადგან მაშინ აქ დათბება. — დათვის გული  
მოუბრუნდა. მეტმა გაზაფხულისათვის დიდი დრო  
იყო გამავლელი, მეტრამ დათვის მაინც კიდევ  
ძრივლ იმა.

მეტი გაეიდა ჩამოთანი და დადგა მარტი. დათ-  
ვი მოუთმენლათ ელის მეტაცნობის მოსელისა  
შეკედ დღე ათვარიელებს, როდის დაეინახავთ.  
მათხელ სადოლის უკან დათბა ძრივლ. დათვის გა-  
მოვიდა გატერი და დაინახა-პატარია შეი ფრინვე-  
ლი მიწის პირათ ქვეყნიდან შეკით მოტრინავდა

მინამ შორის იყო, დათვეუმ ეკრი იცნო. ჩაიცა ახლო მოედა და დათვეუმ განასაკეთა, მაშინ სიხა-ნელით ტაში დატერა და დაიძახა; მაგრა, ტაშიძე, დედა! მერცხალი მოსულეა! ჩეუნ სახლში რომ ბუღაბდნენ ისინიც ხომ მოედოდნენ. პხლა გააკეთებენ ბუღალ და ჭიქუქს აღას მოგვაკლებენ. მაგრამ თუნდა ერთი კორია კადევ გავადა მინამდისნ დათვეუმს მერცხლები მოედოდნენ: უკან დაზიანილ-იუნენ და დაიგვიანეს. მოვიდნენ თუ ასა. მაშინ თავისი დასწერებული სახლი მონახეს და, რა საკეთო ერთო, მხიელ გაუხატდა დათვეუმს როცა თავის ერთოში მერცხლები დაინახა.....

სოტა ხანს უკან მერცხლებმა დაიწყეს ზიდვა პირით გამხმარი ბალახისა, თოვისა, ტალახისა, აუ-ლოსი და დაიწყეს ბუღის კეთება. მშვენიერი ჩი-ფალი ბუღე გააკეთეს. ბუღეში ჩაჯდა დედალი მერცხალი, კვერცხები დასდო და დააჯდა ზედა-მიშალი მერცხალი კერიებზედ ზის და შეაქცევს ჭიქუყით თავის დედალ მერცხალსა. როცა დე-დალს კირხედ გატენენა მოუნდება საჭმლისათვის, ან წყლის დასალევათ, მაშინ მამალი მერცხალი დააჯდება კვერცხებს, რომ ესენი არ გაციცდნენ და არ გალაუდნენ. აგრე ბუღეში რაღაებმაც ჩუ-ჩუნი დაიწყეს. სხანს მერცხალმა ბარტუმები გამო-ჩიუა. დედა ახლა საჭმელს ეძებს და უზიდავს თა-ვის პატარა შეიძლებს. მამალი მერცხალიც შეე-ლოს; უზიდავენ და აჭმევენ: ბუზებს, პეპელავებს,

ქაებს. მრთს კერძოშედ პატარა მეტაცხლები კინ-  
გათ დაიხსრონ ენ. პი აფერ კოდევაც, დასაუზრუნველი-  
გახდნ ენ. ჯერ აფერინდა ბუდილგან, რას შეწიტყო ჩუ-  
მელი პირებიდად გამოიჩინა. მეტად მეორეთ გა-  
მოჩერები აფერინდა, მეტად — მეტამეთ და ბოლოს  
აფერინდნ ენ კუელანი. მაგრამ მაღვე დაიღალნ ენ  
ფრინით და ისევ მაღვე სამოაფერინდნ ენ ბუდეში.  
ხეალ უფრო ბევრს იფერებ ენ და შემდგომ ისე ვა-  
რისროებიან უჩერნაში, რომ დედაში კულას გამოიჩ-  
ნევ ბარტეკებსა. მოვა შემდგომა და დედა შეი-  
დებით წავა ქვერეთ ქვეუნებში. ღათუკის ძრიულ  
ეწყინება, მაგრამ იცის, რომ მეორე წელიწადა  
ისევ მოვლენ მეტაცხლები.

### მ შ პ ი რ ი.

მწყერი არის ჩიტებ კუტა დიდი ფრინველი,  
ნიტის ფერი. სცხოვრებს ბალობებში. ზეზედ არის  
დროს ას შეჯდება. პრაზედ არის ქართველი ანდა-  
ნა ნათევამი: არა შეჯდა მწყერი ხეხა, არა იყო  
გარჩო მისი. ამ ფრინველსაც ჩენ საქართველოში  
ეხედავთ მარტოვა დაზაფხულზედ, ზაფხულში და  
ნახევარ შემოდგომამდისინ. ზამთარში ექნა ებე-  
დივთ. ხდე არის მაშინ: ზოგი ერთის ჰეონია, რომ  
მწყერი ზამთარში მიწაში ცხოვრებსო, გველისა და  
მწყერის თავები ერთათ უდევეთო გაზაფხულამდისინ.  
ისე გაღვიძება გველმა დასწრიო გაზაფხულზედ.

მაშინევ მწყერს შესჭიბო. პშიტომ მწყერი ცდილობს, რომ გამოლეიდება გაზაფხულზედ დასაწროს გველსოთ და ზეფით მიწაზედ მოვიდეს კურის მას გველ ტუკილია. მწყერს მიწაზი ცხოვნება ქით სათხაუ არ შეუძლია, მაშინ ევ მოკედება. მაგ სად არის მწყერი ზამთარზი— ქეევით თბილ ქვეყნებში.— მაგ რატომ ვერ გხედავთ, როცა მწყერი ქეევით მოდინ ხოლმე, როგორც ვხედავთ წეროებსა । პშიტომ რომ მწყერები ქვევით მიუჩინავენ ღამი— ღამე და არა დღე. როდესაც გაუთხნდებათ, ბაღიახებში ჩამაღებიან, დღე დაისუენებენ და როცა დაბინდება, ისევ ფრინდებიან და მოდიან ქვეევით. ღამე იმიტომ ფრინნავენ მწყერები, რომ დღისით ეშინიანთ აღალებისა, ქოჩებისა და სხვა ფრინვლებისა, რომლებიც ძრიდ ემციქებიან მწყერებს.

მთელს ზამთარს მწყერები ქეევით თბილ ქვეყნებში არიან. როცა გაზაფხული დადგება და სისმოვებს დაიკერს ჩენ ქვეყანაში, მაშინ მწყერები დანებებენ თავს იმ ადგილებს და წამოვლენ ზევით. პპჩილში საქართველოში შოსულინი არიან. პპ დროის ისე მცლეთ არიან, რომ სწორეთ ფრინვაც არ შეუძლიათ. ისე სიცავებიც დაუდგათ მოხვდის შემდეგ, ისე დასუსტდებიან, რომ პატარა უმაწევილები მინდორში ხელით იკერენ. მასში მწყერები კანებში ჭუჭუკებენ. იმიათვეში ბუდეს გაკეთებენ, კვერცხებს დასდებენ და დაუტრიენ ენ ჩოჩჩებს. მაგრამ ბერით უშეილოთ დამჩება ხოლმე:

მწყრის კეცულები ისე გემჩინელები არიან, ჩო-  
გორი ქათვისა. პშიტომ პატარი უმაწველები და  
ზოგჯერ დადებიც, ხოცა კი იპოვებან — მწიწონი მუ-  
ლეს, მაშინ ვე კეცულები ამოაცლიან. ცეტე ძრიელ  
უკეთო შეჩირებსა და ძიელაც ასუქებს. პგვისტოში  
ხოცა ფეტე ხდება — მწყრი ძრიელ სუქანია. ამ  
დროს შინდობიში დამწყრისხენ დადი კაცებიც, და  
პატარი ბიჭებისგან ხომ მოსვენება არა აქვთ მწყ-  
რებსა. სციდება, და მწყრები წავლენ ქვევით თბილ  
ქვეუნებშივე.

### 8 უ 8 უ 0.

მრთს ჭალის გევრებზედ მღებიარებდა ერთი პა-  
ტარი სოფელი. ამ სოფელში იყო უმაწველების  
სახწავლებელი. ამ სასწავლებელში, სხვათა შორის  
დადიოთინ ენ ისინი პატარი ძმანი; ერთს ეჩევა ზორხვი,  
ზეორეს — ზივო. გაზაფხულზედ, ერთს დოლას, ზი-  
ორხვი და ბივო თვალების ცშეტით გამოვიდნენ  
სახლოდებან, მივიღნენ ჭალის პირში და დაიწყეს  
პირის ბანა პატარი ჩაუში, ხომელიც ჭალას გევრე-  
ზე სამშენის სარიალით ჩამოვლილდა. პირის ბანის  
დროის, უეცრად ჩაღიმაც ჭალიდებან წამოიძიხა: გუ-  
ფუ. ჩეენმა უმაწველებმა უერები ცქარტეს. შრი-  
ნველმა მეორეთაც სიჩქარით დააყოლა: გუ-  
გუ. ზეგული, გუგული! შენი ქინიმე დედაც გუ-  
გული მოსული, წამოიძიხა იჩივე ძმებმა და პირ-

დამის ჭალაში შეცვინდნენ. პმათ ეფონით გუგუ-  
ლი ახლოდევან თავს გაგეა შინჯებსო. მაგრამ გუ-  
გულმა ზორი-ახლოსაც არ მიიკრის წირუებს, შეამ-  
ჩნდება, რომ ყმაწევილები იმისკენ მოდიოდნენ, მა-  
შინვე აფრინდებოდა, ზორს ხეზედ გადაჯდებოდა  
და დაიძიხებდა: გუგუ! ჩექნმა პატარეებმა ბევრი  
ზღიეს, ოფლში ვაიწუნენ ენ, მაგრამ თვალიც ვერ  
მოჰქონდს გუგულს. ზორები და ზიგო დალონებულ-  
ნი მოჰქონდნენ შინა, აიღეს თავისი წიგნები და წა-  
ეიდნენ სასწავლებელში. პმათ უნდოდათ გაეგოთ,  
რა ფრინველია გუგული, როგორი ცხოვერებისაა,  
ჩეკულებისა, მაგრამ ამათმა ამნანაგებმა ამაზედ არა-  
უერთ იკოდნენ. ზორები და ზიგომ ბევრი ინატ-  
რეს წიგნი, რომელშიაც რომ ყოველიც აღწე-  
რილი გუგული, იმის ცხოველება, ზნება. იქნება  
ჩექნმა პატარეებმა აქამდინაც ჯერ ამ იციან ესა,  
და იქნება ეს წიგნი ამ ყმაწევილებს ხელში ჩაუკი-  
დეთ. ბმიტომ კილაპარაკოთ გუგულზედ.

ზუგული მტრიედის ტოლაა თითქმის. ზურგი და  
გვერდები აქვთ ნაცრის ფერი, გული და მუცე-  
ლი კი თეთრი, შავი ზოლებით, ფეხები  
უკორელი, უქნოს ფერი, რომლებზედაც ამია თთ-  
ხი კლანჭი. სამი წინ არის გამოშეერილი, ერთი  
უკან. მაგრამ თუ უნდა ისე მოხერხებს, რომ თხი  
კლანჭი წინა ჰქონდეს, თხია უკან.

ზუგულს ეძახიან პურა ძებრის, რადგანაც სტრმა-  
რი ძრიელი სტულს. ჩიტები ერთათ სხდებიან, მტრი-

დებს გროვით უყეართ ჭამა, იხევბი გუნდუნდი  
დაცურამენ წყალში,—ზუგულს კი მარტოსაბა უფ-  
რო მოსწონს. პშიტომ მოუხდეს მარტის 10 დეკო-  
ნავს ტყეში და უკრს უდებს, ხომ სხვა გუგული  
არ უქომებართ. პშის ეს ტყე თავის საკუთხებათ  
მიაჩინა, და არა სტუმარს არ მიიკარებს. 10 მე-  
რთ გუგულის ტმა გაივონა, თუნდა ეს გუგული  
ამის ძმა, ან მამა იყვენს, მაშინვე გაჯაერებით დაუ-  
ყერებს: გუგუ! ბანა არ ხედავ, ჩომ აქ მარტოკა  
ზე ვის მფლობელიო.—პშის შემდევ დაიწყება გაც-  
ხარებული წეუბი. ზაყდებული გუგულები ქი-  
თა ერთმანეთს ბუშულს და ფრთხებს ავლევენ და  
აქეთ იქით ისკრიან. ჩომელიც დამარცხდება, ის უნ-  
და დაიყარებოს იმ ტყიდვან. მაგრამ ზოგჯერ ით-  
ვის ბოროტება, შეუთეისებლობა, ცხვირში ამოკ-  
რამს ხოლმე გუგულსა. მონადირეებმა იციან გუ-  
გულის ზე. პშის ძახილი: მიმშავენ ხოლმე. ზუგუ-  
ლი მაშინვე გაექანება იქით, საიდვანაც სშა ისპის;  
ჰეთნია სხვა გუგული შემომარიარ, და ემზადება  
ამის გავდებას,—ის კი არა,—მონადირეს თოვის  
მსხეებლი კი გამდება ხოლმე. შეხედულობით მა-  
მალი გუგული და დედლი ძრიელ ჰვერან ერთ-  
მანება. ხმით კი განიჩიერებან. მამლის სშა— „გუგუ“;  
დედლის სშა სიცილის ჰვევს.

ზაზაუხულზედ ყოველი ფრინველი აყოთებს ზუ-  
დეს. ზუგული კი არ ზრუნავს ბუღისთვის. შეელა  
ფრინველებიდებან ამითი განიჩიერება გუგული, ჩომ

ბუდეს ას იყოთებს! მამალი დაქვეიტობს და მასის  
•გუგუ-,, დედალი სულ იკინის. მაშა შეკვების, რო-  
გორ ზღიან? — ა როგორი: ტყის პატიშა: უწინვერა-  
ბი გააკეთებენ ბუდეს და დასდებენ კავშებებს. რო-  
ცა ფრინველს ბუდიდან გამოიგულებს, გუგული  
მოფრინდება, ზოგს კვერცხებს გადმომყრის ბუდიდ-  
გან და თავისას ჩასდებს, მეტა გაუჩინდება და თვი-  
თონცე თითქო დასკინის თავის ეშვევობას. რო-  
ცა პატიშა ფრინველები მოფრინდებიან, ვერავების  
გაიგებენ, დაასხდებიან ბუდეს და გამოჩეკენ თავის  
შეიღებთან გუგულის ბარტყეაცა. ბერა პატიშა  
ფრინველები საქმელის ზიდებს დაუწევებენ ბარტყე-  
ბისათების. მაგრამ, რადგან აც პატიშა გუგული იმათ  
შეიღებზედ დიდია, იმიტომ ეს ლუკმა — ლუკმაზედ  
უღიაპეს, და სხვა ბარტყებს უსაქმილოთ ავდებს.  
როცა დიდი გაიზღება და ფიწიონობა შეიქნება ბუ-  
დები, მაშინ გუგული შეუცოდვად გადმომყრის  
ბუდიდგან პატიშა ბარტყებს. შეკვების დედა, რო-  
მელიც შორი — ახლოდგამ უგდებს ყუჩას თავის  
შეიღს, ზოგჯერ შეეღის მას ამ ბორიც საქმეში.  
გადმომყრილი ბარტყები შიშმილით და სიციფით  
იხოცებიან. ხან კატები სჭამენ, რამდენიც გუგული  
ბუდეში იზრდება, იმდენი უუჩო აედება, — ახალების  
უგონებს თავის მამინაცების და დედინაცების  
და ცუდათაც მცენა. ისეთი გაუმაძლეობა, რომ  
ზოგჯერ თავის გამზღველს, როცა ეს მას ლუ-  
კმას უდებს პირზი, წაავლებს ხოლმე თავში პირსა

და კბენით დაუსისხლიანებს თავს. ჩოტა ფრეშო მა-  
გათ გაეზღება გუცულს, მაშინ ის ბუდეს რაჭალიანებ-  
ბებს. მაგრამ ზოგჯერ კი ბუდილები უკრისტიუ-  
სოლმერ, თუ ხის ფურულობის ბულე გაყეოებული.  
პმისთანა ბუდეში დედალი გუცული ნისკარტით  
ჩასდებს ხოლმე კვერცხსა, რადგანაც თვითონ  
ვერ ჩაეტევა. ზამზდელები გუცულს აქვევენ შე-  
მოდგომამდენ. მეჩე კი ისინი ქვეყით წავლენ,  
და გუცული შიმშილით მოკვდება თავის ბუ-  
დები. ბუცული სდებს ხუთს, ხან ექვს კვერცხს,  
უკელის სხვა და სხვა ბუდეში.

### ბ უ ლ პ უ ლ ი.

ბულბული არის შეენიერი მგალობელი ფრინ-  
ველი. ჰეავს ჩიტა, ცოტათი კი უფრო წვრილი და  
ლამაზი ტანისაა.—ჩეენ ქვეყანაში მოურინდება  
მარტო ზაფხულში. სხვა დროს ქვევითა ქვეყნებში  
არის. პრა ფრინველის გაღობა არ შეედრება  
ბულბულის გაღობას. ბუდის გაყეოება იცის წუ-  
ლის ახლოს, ხშირ ჯავებში, უფრო კი კუნელის  
ბუჩქებში. ბულბულები უფრო ხშირათ გაღობენ  
დოლით და საღამოთ, ზოგჯერ თითქმის მოედ-  
ლიშეს. მაგრამ ჩოტა ახალი მოსულები არიან მაის-  
ში, მაშინ კი უფრო ძალიან ხშირათ გაღობენ. ჯერ  
მოურინდებან ვაზაფხულზედ მამალი ბულბულები  
და დაიწყებენ გაღობაში გაჯიბრებას. მს ამიტომ,

რომ დედალი ბულბულები, რომლებიც მუსიკის/ზოგინდებიან ხოლმე, უმევობრიცებიან კარგათ, მდალიბელს ბულბულებს. პრიტომ, თუ მართლა ბულბული ცუდათ გალობს და ას მოეწონა დედა ბულბულებსა—მოელს ზაფხულში დარჩება უდედლოთ, მაში უშეიღლოთაც დარჩება. ბულბულის საყვარელი საჭმელი: პაწაწინა ბუზები და კიაებია. რაღაცაც ბულბულის გალობა სისიმოვნო არის კაცისათვის, ამიტომ ბევრგან იქტიენ ბულბულებს და ჰყავთ გალიაში. მაგრამ ეს ჩეულობა კაჩია ას არის. ბულბულები ფოხებიან და აღარ კარიებიან იმ ადგილის. თუ ბულბულები სჯდებიან ხეებზედ სხლების აღლოს, მაშინ პირეელი ამათი მტერი არის კატა. როცა ხეზედ ბულბული გალობს, თვალები დახუჭეილი იქნეს. ამიტომ კატა აღეიღლათ ეპარება და იქნის. ბუკ ძრიელ ემტერება ბულბულებს. პატარა უფუნური ბიკები ბულება მოუშლიან ხოლმე... .

### ხის ა მ ლ ე მ ა. (ურინველია).

